დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 2024-04-12 და 2024-04-16
ანგარიშის წარდგენის თარიღი 2024-05-14

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა…..... 19

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 27

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 31

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 41

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	მეთიუ კიჩინგი, ბუკინგემშირის ახალი უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია, უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	ეკა დევიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) ქვეყანა)	მარიამ გორგოძე, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ტურიზმი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Tourism
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ახალი, ავტორიზებული/აკრედიტებ ული) პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობითად აკრედიტებული 724144 28/06/2022
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც გრუნი) კურსდამთავრებულს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ტურიზმში. პროგრამა ხორციელდება 2 კამპუსში, თბილისსა და ბათუმში. პროგრამის ძლიერი მხარეა, მისი დიდი და გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომელსაც მოიცავს 39 აკადემიური პერსონალი და 30 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის მისია გულისხმობს *"სამუშაო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს თავიანთი ქვეყნის წარმატებულ მომავალს".* შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ ეს პროგრამა სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ემსახურება მნიშვნელოვან საჭიროებას, რაც გულისხმობს კვალიფიციურ მუშახელის განვითარებას, რათა დააკმაყოფილოს ტურიზმის პროფესიონალებზე მზარდი მოთხოვნა მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამა ასევე აცხადებს, რომ ორიენტირებულია კურსდამთავრებულების განვითარებაზე, რომლებიც მზად არიან საერთაშორისო ტურისტული კარიერისთვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ამის ნაკლები მტკიცებულება აღმოაჩინა ხელახალი აკრედიტაციის პროცესში. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, პროგრამა ეფუძვნება რელევანტურ საკითხებს და შესაბამიოსობაში შესაბამის სტანდარტებთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი შედგა 2024 წლის აპრილში, თბილისისა და ბათუმის კამპუსებში. ადგილზე ვიზიტების დროს ჯგუფმა გამართა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სასწავლო პროგრამის თანახელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. ადგილზე ვიზიტის დროს აკრედიტაციის კომისიამ შეამოწმა დაწესებულება და რესურსები. ექსპერტთა ჯგუფს სურს მადლობა გადაუხადოს დაწესებულებას პროცესში ღია და პროდუქტიული ჩართულობისთვის, მათ შორის, ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუებისთვის და ექსპერტთა ჯგუფისადმი გამოჩენილი გულუხვი სტუმართმოყვარეობისთვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს. ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისია, პროგრამაში გამოყენებულია სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი და სტუდენტების მიღწევები გონივრულია ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით. სწავლების რესურსების დიაპაზონი საკმარისი და შესაბამისია, პროგრამაზე გამოყოფილი აკადემიური პერსონალის რესურსის ჩათვლით და კონკრეტული მაგალითებით დაფიქსირდა პროცესები, რომლებიც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. კონკრეტული შესაბამისობებია:

- პირველი სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეორე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;
- მესამე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;
- მეოთხე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

● მეოთხე სტანდარტი: შეესაბამება მოთხოვნებს;

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია, კურსის „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ წინაპირობად განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
  - სასურველია, უზრუნველყოთ შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ეფექტური განხორციელება, იმისათვის, რომ პროგრამის მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კარიერულ განვითარებაზე, სრულად იყოს რეალიზებული.
  - შეიმუშავეთ ეფექტური სტრატეგიები სტუდენტების წახალისების მიზნით, განაგრძონ სწავლა შემდგომ საფეხურზე.
  - შეამოწმეთ კურსდამთავრებულთა შედეგების მონაცემები ცალ–ცალკე ლოკაციების მიხედვით (თბილისი და ბათუმი), შედეგების ნებისმიერი ცვალებადობის დადგენის მიზნით.
  - სასურველია საგანმანათლებლო ლიტერატურას აკადემიური სტანდარტების მიხედვით მიუთითოთ გვერდების რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს შეფასდეს ასათვისებელი მასალის მოცულობის თავსებადობა გამოყოფილ დროსთან/კრედიტებთან.
  - გააუმჯობესეთ სტუდენტთა ჩართულობა და მოტივაციის დონე სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.
  - გაზარდეთ საერთაშორისო პარტნიორული აქტივობები, რაც გულისხმობს ცოდნის გაცვლის ინიციატივების წახალისებას და სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების ქსელის შესაქმნას.
  - სასურველია, სასწავლო კურსებზე პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მათზე რეაგირების წესების ჩართვა შესაბამის დოკუმენტში, როგორიცაა „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირება“.
  - სასურველია, გრუნიმ გააგრძელოს სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაზრდა, გრძელვადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებზე განსაკუთრებული აქცენტით.
  - ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ მუდმივი მონიტორინგი უნდა განახორციელოს კვლევის შედეგების ხარისხზე, თანამშრომელთა კვლევითი საქმიანობის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების დაცვა.
  - სასარგებლო იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულმა ერთეულმა მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. კერძოდ, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობა უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილებას შორის თანამშრომლობის ხარისხს სასწავლო პროცესის განმავლობაში.
  - მიზანშეწონილია, რომ გარე შეფასების ანგარიშის პასუხები იყოს უფრო დეტალური და კონკრეტული, პროგრამის შეფასების უფრო მკაფიო გაგების მიზნით.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

ექსპერტთა ჯგუფმა აკრედიტაციის პროცესში აღმოაჩინა რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკა. კერძოდ:

- პროგრამაში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების ფართო სპექტრი, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროგრესსა და მიღწევებს.
- Nexus სისტემა, რომელიც ეფექტურად აერთიანებს საგანმანათლებლო მენეჯმენტის სხვადასხვა ფუნქციას და ამით ეფექტურად ეხმარება სტუდენტების აკადემიურ პროცესის

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

წარმართვას.

- ყოვლისმომცველი და გააზრებული მიდგომა, რომლითაც უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს წინა აკრედიტაციის რეკომენდაციებს.
- მოცულობითი, ერთგული და ქმედუნარიანი პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებულ პოზიციას, რომელიც ემთხვევა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და ეთანხმება რეკომენდაციის განხილვის და შესრულების აუცილებლობას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა იმ აშკარა და თვალსაჩინო პროგრესით, რომელიც მიღწეული იქნა უნივერსიტეტის წინა აკრედიტაციის შემდეგ. მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელდა პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით და დაწესებულებამ შეძლო დაემტკიცებინა მთელი რიგი სილაბუსების გაუმჯობესება, მათ შორის, რომელიც განხილულია 1.3 სტანდარტში.

ასევე გაწეული იყო ძალისხმევა თანამშრომლებს შორის კვლევის შედეგების მასშტაბის გასაუმჯობესებლად. ეს იყო ექსპონენციალური ზრდა, რაც აღიარებული იქნა შეფასების ჯგუფის მიერ. თუმცა, ჯგუფს ასევე სურს ხაზი გაუსვას ხარისხზე ფოკუსის შენარჩუნების მნიშვნელობას უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის გაფართოებისას.

წინა აკრედიტაციის დროს განხილვის კიდევ ერთი თემა იყო თბილისსა და ბათუმში სტუდენტთა გამოცდილების შედარება. უნივერსიტეტმა ასევე შეძლო ამ კუთხით პროგრესის დემონსტრირება, მათ შორის ბათუმის კამპუსში საქმისადმი თავდადებული პერსონალის დანიშვნის გზით.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას და შეესაბამება დონეს. ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ პროგრამის მიზანი ემთხვევა ინდუსტრიის მიერ მოთხოვნილ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს და პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს ისინი კურსდამთავრებულ სტუდენტებში.

პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. დაწესებულება თავის მისიას უკავშირებს ქვეყნის განვითარების დინამიურ კონტექსტს, რომელიც ყალიბდება მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით. ამ უფრო ფართო მისიის ფარგლებში, ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლა განსაზღვრავს თავის ძირითად მიმართულებას, როგორც უნიკალური წვლილის შეტანას უნივერსიტეტის საერთო მისიაში. ეს გულისხმობს სტუდენტებისათვის ცოდნის მიწოდებას, რომელიც აძლიერებს მათ კონკურენტუნარიანობას არა მხოლოდ შიდა ბაზარზე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც. სკოლა მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტები წარმატებისთვის მრავალფეროვან კორპორაციულ და სამთავრობო გარემოში, შეიარაღოს ისინი იმ უნარებით რომლებიც საჭიროა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებისა და მართვისთვის. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის ზოგად მისიას, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი აკადემიურ კულტურის დაცვას და ინტელექტუალური სიმდიდრის შექმნას; მაღალი სამეცნიერო-კვლევითი კულტურის დანერგვისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საუნივერსიტეტო საზოგადოების შექმნას.

კერძოდ, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს ტურიზმის სფეროს სპეციალისტები, რომლებიც აღიარებენ ტურიზმის უდიდეს მნიშვნელობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. აღჭურვოს ისინი ისეთი უნარ-ჩვევებით, რომელიც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს ბაკალავრიატის საფეხურისთვის დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში.

- მიაწოდოს ფართო და თანამედროვე ცოდნა ტურიზმის სფეროს შესახებ, მათ შორის მისი სხვადასხვა ტიპისა და მართვის ასპექტების ჩათვლით. ხელი შეუწყოს სტუდენტების პროფესიული ცნობიერების განვითარებას სოციალურ პასუხისმგებლობასა და ეთიკურ ღირებულებებზე აქცენტის გაკეთებით. გამოუმუშაოს თანამედროვე პროფესიული აზროვნება და განუვითაროს პრაქტიკულ საქმიანობაში ცოდნის გამოყენების ჩვევები.

–გააცნოს სტუდენტებს ტურისტული ბიზნესის წარმოების უახლესი ტექნოლოგიები, განუვითაროს ტურისტული, ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი. განუვითაროს კვლევის, ანალიზის, შეფასების, პრიორიტეტების დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში. აღჭურვოს სტუდენტები კომპეტენციების მრავალფეროვანი სპექტრით, რომელიც შესაფერისია როგორც ადგილობრივი, ასევე

საერთაშორისო დასაქმებისთვის, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

- ხელი შეუწყოს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ტურისტული ბიზნესის დინამიურ გარემოში ნავიგაციისთვის. მოამზადოს სტუდენტები უწყვეტი განათლებისთვის და შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლისთვის, რაც უზრუნველყოფს განვითარებადი ინდუსტრიის სფეროსთან ადაპტირებას.

როგორც ეს მიზნები ცხადყოფს, ისინი წარმოადგენენ ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს, საერთაშორისო შრომის ბაზრის საჭიროებებთან ერთად. ამ მიზნების მიღწევაში დაწესებულების დასახმარებლად ჩატარდა პოტენციური ტურისტული დამსაქმებლების ონლაინ გამოკითხვა შრომის ბაზრის ადგილობრივი მოთხოვნების გამოსაკვლევად, სადაც გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაციების მენეჯერებმა. გარდა ამისა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრა, სადაც განიხილეს რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დაწესებულება სასიცოცხლო მნიშვნელობის „მილსადენის“ როლს ასრულებს ქართული კომპანიებისთვის ტურიზმის კურსდამთავრებულთა მიწოდებაში. თუმცა, იგივე დამსაქმებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ გრუნი-ს კურსდამთავრებულებს, როგორც წესი, ესაჭიროებათ რამდენიმეწლიანი ადგილობრივი გამოცდილება ინდუსტრიაში, სანამ ისინი მზად იქნებიან საერთაშორისო კარიერული ნაბიჯებისთვის. ეს მოსაზრებები ემთხვევა ჯგუფის მიგნებებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზნები ასახავს დისციპლინის ინტერნაციონალიზაციის მთავარ მახასიათებლებს, დაწესებულებას აქვს პოტენციალი გაზარდოს თავისი ეფექტურობა შეთავაზებების ამ სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლამ შეიმუშავა 2018-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც გაწერილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერების დაგეგმილი ღონისძიებები. ჯგუფმა ეს დადებით მოვლენად მიიჩნია. პროგრამა ახლა მოიცავს ინგლისური ენის სწავლების კომპონენტს, რომელიც შემოთავეზებული იქნა კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, ის მოიცავს ბიზნეს ინგლისური/ფრანგული/გერმანული ენების სწავლებას 10 ECTS კრედიტის მოცულობით. ასევე თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენების კურსების შეთავაზება 10 ECTS კრედიტის მოცულობით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო აკადემიური საზოგადოების მიერ აღიარებული წესებისა და სტანდარტების დანერგვას, ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებას, ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის უზრუნველყოფას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში, საერთაშორისო პროფესიული ასოციაციებისა და სხვა აქტივობების მონაწილეობით. ამ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები უცხოურ ჟურნალებში, მოაწყონ უცხოური სასწავლო ტურები და ა.შ.

ინტერნაციონალიზაციის პროცესებს მართავს საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი. უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან, აზერბაიჯანის ტურიზმისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტთან და Libra Alliance-თან. ამჟამად, ჩართულობა უფრო მეტად არის ორიენტირებული საერთაშორისო ჩართულობის ონლაინ და მოქნილ ფორმებზე, ვიდრე მობილობის სრულ პერიოდებზე, მაგალითად, 15 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სასწავლო ტურში (თურქეთში). თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის პროგრამებში ჩართული იყო 3 სტუდენტი და 2 აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს უცხოელი პროფესორების მოსაზიდად, თუმცა ეს მცდელობები ჯერ არ არის წარმატებული. აკრედიტაციის დროს, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი 2014 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს კულტურული ტურიზმის ეროვნულ ქსელთან (ECTN),

პროგრამის მიზნები არის საჯარო, ხელმისაწვდომი და მას სრულად იზიარებენ პროგრამაში ჩართული პირები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1)
- უნივერსიტეტის მისია (დანართი 1.2);
- ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლის განვითარების სტრატეგია (დანართი 1.3)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების კვლევა (დანართი 3.1)
- ვებ გვერდი https://gruni.edu.ge/
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უზრუნველყოთ შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ეფექტური განხორციელება, იმისათვის, რომ პროგრამის მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა საერთაშორისო კარიერულ განვითარებაზე, სრულად იყოს რეალიზებული.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას. კერძოდ, სწავლის შედეგები იყოფა სამ ძირითად ჯგუფად - ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია (10 შედეგი):

1. **ცოდნა და გაცნობიერება** – სტუდენტი
   1.1. აღწერს ბიზნესის მართვის თავისებურებებს, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების საფუძვლებს, მენეჯმენტის ძირითად ფუნქციებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას მენეჯერულ საქმიანობაში;
   1.2. აცნობიერებს გუნდური მუშაობის, ადამიანური რესურსების და ოპერაციების მართვის, ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს;
   1.3. აღწერს ტურიზმის ეკონომიკურ ხასიათს, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების

ტიპებს, ტურისტული და საკურორტო ინდუსტრიის ინფრასტრუქტურისა და პროდუქტების სპეციფიკას;
1.4. აცნობიერებს ტურისტული ნაკადების პოტენციალს, გაყიდვების სტრატეგიებს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სფეროში, ტურისტული პროდუქტის ღირებულების გამოთვლის მეთოდებსა და მოთხოვნას განთავსების ობიექტებზე.

2. **უნარი** – სტუდენტი
2.1. ორგანიზებას უწევს ახალი ექსკურსიის მომზადებას, ტექნოლოგიური რუკის შედგენას და საექსკურსიო მარშრუტის განსაზღვრის პროცესს.
2.2. გეგმავს ტურს და ადგილობრივ პროექტებს, განსაზღვრავს ბიუჯეტს, საჭირო ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს და აპლიკაციებს, აკეთებს რკინიგზის, საავტომობილო და ავიაბილეთების, ასევე მუზეუმების, სასტუმროს ნომრების და სხვა ტურისტული ობიექტების დაჯავშნას.
2.3. ატარებს მცირე კვლევებს ტურისტულ ბაზარზე და აანალიზებს მიმდინარე პროცესებს, მსოფლიოს ქვეყნების კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებს, ტურიზმის გავლენას ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოზე და შეიმუშავებს წინადადებებს ტურიზმის მდგრადი განვითარების შესახებ ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე.
2.4. ახდენს ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ქცევის მოდელირებას, ტურისტული პროდუქტების მიწოდებას და ერთვება ბიზნეს კომუნიკაციაში.

3. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** – სტუდენტი
3.1. დამოუკიდებლად მოიპოვებს ინფორმაციას ტურიზმის სფეროში, აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებებს;
3.2. აფასებს საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებს, გეგმავს პროფესიული განვითარების გზებს.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და დეტალურ სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა ეროვნილი კვალიფიკაციების ჩარჩოს (NQF) საფუძველზე შემუშავებულ დარგის სამიზნე ნიშნულებს.

თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლისას, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამის შედეგები შეესაბამება დარგში კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნას და სათანადოდ ამზადებს კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურებზე გასაგრძელებლად. ისინი თანმიმდევრულია დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის სასწავლო მიზნები ხელს უწყობს სტუდენტების მომზადებას უფრო მაღალი განათლებისთვის, კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც გადავიდა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე არის 1%. დაწესებულებამ აცნობა ჯგუფს, რომ არსებობს ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს ამ დაბალ პროგრესზე, მათ შორის, ის ფაქტი, როგორიცაა მოთხოვნა მაგისტრის ხარისხზე საქართველოს ტურიზმის სექტორში დასაქმების უზრუნველსაყოფად, ასევე ხარჯები და ოჯახის ვალდებულებები. ამავე პერიოდში დასაქმებული იყო კურსდამთავრებულთა 77,4%, მათგან 51,6% - კვალიფიკაციის მიხედვით. არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება თბილისისა და ბათუმის ლოკაციების ცალ–ცალკე შესწავლის შესახებ, რათა განისაზღვროს შედეგების მსგავსება ლოკაციების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია კურსდამთავრებულთა შედეგების მონიტორინგი კამპუსის მიხედვით, რათა დაწესებულებას საშუალება მიეცეს უკეთ გააცნობიეროს მსგავსება–განსხვავებები. ჯგუფმა ასევე ჩათვალა, რომ დაწესებულებას შეეძლო მეტი გაეკეთებინა, სტუდენტების წახალისების მიზნით სწავლა გააგრძელონ შემდგომ საფეხურზე.

აკრედიტაციის პროცესი აჩვენებს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება არის თანამშრომლობითი პროცესი და მოიცავს ყველა დაინტერესებულ მხარეს: აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ეს ეხმარება დაწესებულებას, უზრუნველყოს გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევა სასწავლო გარემოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1),
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1.5)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1.6)
- პროგრამის კომიტეტისა და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის დოკუმენტები (დანართი 1.7)
- შრომის ბაზრის საჭიროებების ანალიზი (დანართი 3.1)
- ინფორმაცია კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ
- ვებ გვერდი https://gruni.edu.ge/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეიმუშავეთ ეფექტური სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების წახალისებას სწავლა გააგრძელონ შემდგომ საფეხურზე
- შეამოწმეთ კურსდამთავრებულთა შედეგების მონაცემები ცალ–ცალკე ლოკაციების მიხედვით (თბილისი და ბათუმი) შედეგების ნებისმიერი ცვალებადობის დადგენის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი სწავლის შედეგების შეფასებას განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის განუყოფელ კომპონენტად. ექსპერტთა ჯგუფმა ნახა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომ ეს პროცესები ძლიერი და ეფექტურია. არსებობს მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ვადებს და სამიზნე ნიშნულებს, ასევე პასუხისმგებელ პირებსა და დეპარტამენტებს. სწავლის შედეგების მონიტორინგი ხდება სამ წელიწადში ერთხელ და შუალედური პერიოდის განმავლობაში პროგრამის კომიტეტი პასუხისმგებელია მონიტორინგის უზრუნველყოფაზე და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების შეტანაზე.

საანგარიშო პერიოდში პროგრამაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდა აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. კერძოდ, ტურიზმის პროგრამის სასწავლო სილაბუსებში შევიდა წინაპირობები. ცვლილებები განხორციელდა სპეციფიკურ დისციპლინებში, მათ შორის: გარემოსდაცვითი და სათავგადასავლო ტურიზმი, საერთაშორისო ტურიზმი, ტურისტული სატრანსპორტო მომსახურება, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი, ტურისტული მარკეტინგი, ტუროპერაცია, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, ღონისძიების ადმინისტრირება, გაყიდვები ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, "ტურიზმის შესავლის" სასწავლო კურსი და 2023 წელს, უმაღლეს განათლებაში გაზრდილი კონკურენციის მოსაგვარებლად და ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი ზრდის მოლოდინის მიზნით, შემუშავდა ახალი დისციპლინა - „ფინანსური მართვის საფუძვლები“. ეს დამატება დამტკიცდა გარე შეფასებით და მას მხარი დაუჭირეს პროგრამის კომიტეტმა და დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტმა ერთობლივი რეკომენდაციებით. ახალი დისციპლინა ჩართულია პროგრამის სავალდებულო სპეციალობის დისციპლინების მოდულში, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა ფინანსური მენეჯმენტის, კორპორატიული მმართველობის, ფინანსური დაგეგმვის, ანგარიშების პროგნოზირების, აქტივების შეფასებისა და კაპიტალის ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშების მეთოდების შესახებ.

ასევე განხორციელდა ლიტერატურის განახლება საბაზო, საუნივერსიტეტო და არჩევით სასწავლო კურსებში. გარდა ამისა, ახალი თემებით გამდიდრდა სილაბუსი „ბიზნესის სამართლის საფუძვლები“ და გადაიხედა ლიტერატურა. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებში განხორციელდა სწავლა-სწავლების მეთოდების დახვეწა, რამაც გავლენა მოახდინა რამდენიმე სილაბუსზე.

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საპასუხოდ, საბაკალავრო ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო დისციპლინებში რამდენიმე მნიშვნელოვანი დამატება განხორციელდა. კერძოდ, დაემატა „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“, „ოპერაციების მენეჯმენტი (შესავალი კურსი)“ და „პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები“ . გარდა ამისა, პროგრამის თავისუფალი კომპონენტების მოდულს დაემატა სასწავლო კურსი „ლიდერობა“. დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კომიტეტის რჩევით დაემატა „უცხო ენა ბიზნესისთვის I“ და „უცხო ენა ბიზნესისთვის II“.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ მაგალითების ეს ფართო სპექტრი ნათლად აჩვენებს პროგრამის და მისი სწავლის შედეგების შეფასების აქტიურ მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს ხელშესახებ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1),
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა (დანართი 1.5)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1,6)
- პროგრამის კომიტეტისა და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის დოკუმენტები (დანართი 1.7)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამა შემუშვებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესების დაცვით. კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში - გაიცემა პროგრამის შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისად.

ტურისტული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტის მოცულობა მოიცავს 240 (1 კრედიტი = 25 საათი) კრედიტს 8 სემესტრის და 4 სასწავლო წლის განმავლობაში. აკადემიური წელი მოიცავს 38 სამუშაო კვირას და 2 სემესტრს - შემოდგომის სემესტრი (19 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (19 კვირა). პროგრამის შედეგები მიიღწევა ცალკეული დისციპლინების სწავლით - შესაბამისი სილაბუსები განსაზღვრავს როგორც სასწავლო მასალის მოცულობას, ასევე სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა სასწავლო წლის ფარგლებში არის 60 კრედიტი. ამასთან, მათ ეძლევათ წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის დაგროვების უფლება.

პროგრამის სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი კომპონენტებით: სწავლის ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 155; სწავლის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები - 55 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (ინსტრუმენტული მოდული - 20 კრედიტი), თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (კულტურულ-ისტორიული დისციპლინების მოდული - სავალდებულოა 10 კრედიტის შეგროვება). პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის დონეს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების რუკა გვიჩვენებს კავშირს ძირითადი სწავლის სფეროს კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. ინტერვიუს დროს აკადემიურმა პერსონალმა აღწერა სწავლების კურსის შედეგების პროგრამის შედეგებთან დაკავშირების პროცესი.

პროგრამის შემუშავების პროცესში დაწესებულებამ გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს ყველა რეკომენდაცია პროგრამის წინაპირობებთან და სტრუქტურასთან დაკავშირებით. გადაიხედა პროგრამის სტრუქტურა, მიზნები და შედეგები, რათა უკეთ აისახოს ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლები ტურიზმის კონტექსტში. როგორც აღწერილია 1.3 სტანდარტში, დაინერგა რამდენიმე ახალი კურსი, მათ შორის "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი", "ოპერაციების მენეჯმენტი (შესავალი კურსი)“, "ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები", "პროექტის

მენეჯმენტის საფუძვლები", "ბიზნესი-უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)“ და „ლიდერობა“. მნიშვნელოვანი განახლებები განიცადა „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სილაბუსმა. ეს ცვლილებები ერთობლივად მიზნად ისახავს პროგრამის დარგის საჭიროებებთან შესაბამისობის გაძლიერებას, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირების ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველყოფას. შეცვლილი პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია; პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) ლოგიკურად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება. მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, გარდა სასწავლო კურსებისა - „პროფესიული პრაქტიკა“ და „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“. „პროფესიული პრაქტიკის“ სილაბუსები შეიცავს ინფორმაციას წინაპირობების შესახებ, მაგრამ ინფორმაცია გამოტოვებულია სასწავლო გეგმაში. ამიტომ „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ შემთხვევაში რეკომენდებულია წინაპირობად განისაზღვროს კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“.

აკრედიტაციის ექსპერტებმა შეამოწმეს თითოეული სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა და დაადასტურეს, რომ ისინი განახლებულია და ეფუძნება ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ სასწავლო რესურსებს. ზოგიერთ შემთხვევაში, კურსები მოიცავს რესურსებს, რომლებიც შემუშავებულია თავად სასწავლო კურსების ლექტორების მიერ. ამგვარად, პროგრამა ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

უსდ უზრუნველყოფს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას და აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას "Nexus"–ზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დანართი 1.9)
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1)
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1.6)
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კომიტეტისა და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის ერთობლივი სხდომის ოქმი (დანართი 1.7)
- შედარება მსგავს პროგრამებთან (დანართი 1.4)
- https://gruni.edu.ge/schools/index/1442824896
- აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა "Nexus"
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, კურსის „გეოინფორმაციული სისტემები ტურიზმში“ წინაპირობად განისაზღვროს „ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	X	☐	☐

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისა და სილაბუსის შეფასების პროცესში დადასტურდა ინდივიდუალური სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან. სასწავლო გეგმის რუკაზე წარმოდგენილია სავალდებულო კურსების სწავლის შედეგების ურთიერთობა ათივე პროგრამის შედეგთან, გაცნობის, გაღრმავებისა და განმტკიცების საფეხურებით. ძირითადი სწავლის სფეროს აკადემიური კურსის/საგნის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის/საგნის სწავლის შედეგებს.

პროგრამის კურსების უმეტესობა შეადგენს 5 ECTS კრედიტს, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ პროგრამის ადმინისტრაციული მოსაზრებებით, არამედ კურსების შინაარსით. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება მოცემული კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, ასევე, თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის არის ადეკვატური და ითვალისწინებს კურსის დეტალებს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლისა და სწავლების მრავალმხრივი მეთოდები, მათ შორის: ლექცია, ჯგუფური მუშაობა და პრაქტიკული მუშაობა, სინქრონული ონლაინ სწავლა, ელექტრონული რესურსებით სწავლა, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა, ვერბალური ახსნა, დემონსტრირება, დამოუკიდებელი შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დისკუსია/დებატები, როლური თამაში და შემთხვევის ანალიზი. ხდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგის შეფასება.

პროგრამის სილაბუსის შემოწმებით, ჯგუფმა დაადგინა, რომ აკადემიური ლიტერატურა და საგანმანათლებლო მასალები განახლებულია არა მხოლოდ წინა რეკომენდაციებით მოთხოვნილ აკადემიურ კურსებში, როგორიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში, სტუმართმოყვარეობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტული და რეკრეაციული რესურსები, არამედ პროგრამის ყველა სასწავლო კურსში. ამასთან, სასწავლო კურსების სილაბუსებს დამატებითი ლიტერატურის სახით დაემატა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი სტატიები. განახლდა „ბიზნეს სამართლის საფუძვლების“ კურსის სილაბუსის შინაარსი, არსებულ საგანს დაემატა ბიზნეს სამართლის შესაბამისი დამატებითი თემები (სავალდებულო სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართალი, შრომის სამართალი და სხვა). ასევე შემუშავდა ახალი სილაბუსი „საქართველოს ისტორია და ცივილიზაციები“ ბაკალავრიატის დონის მიხედვით.

კურსების სილაბუსებში მითითებულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში არ არის ინფორმაცია სასწავლო მასალის გვერდების ან მოცულობის შესახებ, რათა შეფასდეს მისი ადეკვატურობა მინიჭებული კრედიტით გაყოფილი დროის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1) და სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა (დანართი 1,6)
- სწავლის შედეგების შეფასება (დანართი 1.12);

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო ლიტერატურას აკადემიური სტანდარტების მიხედვით მიუთითოთ გვერდების რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს შეფასდეს ასათვისებელი მასალის მოცულობის თავსებადობა გამოყოფილ დროსთან/კრედიტებთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ პროგრამას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მოთხოვნები. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგნების პრიორიტეტებსა და კოეფიციენტებს განსაზღვრავს ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლა და ეს ასახულია პროგრამაში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებენ პროგრამის მახასიათებლებს და

უზრუნველყოფენ სტუდენტების მიღებას საბაკალავრო პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით; როგორც ქვემოთ მოცემულია ცხრილი, პროგრამაში დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას, კერძოდ:

გამოცდა	**კოეფიციენტი**	**პრიორიტეტი**
ქართული ენა და ლიტერატურა -1;	3	3
უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, საფრანგეთი, რუსული)	4	2

ერთ-ერთი შედეგი შემდეგი სავალდებულო საგნებიდან:

მათემატიკა	5	1
გეოგრაფია	5	1
ისტორია	5	1

ამიტომ ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი და ხაზგასმულია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გარეშე სტუდენტების მიღება ან ჩარიცხვა ტურიზმის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის რეჟიმში ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით. მობილობის პრინციპით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, კანონით დადგენილ ვადებში. მიღებისა და ჩარიცხვის პროცედურები ასახულია უნივერსიტეტის დებულებაში სახელწოდებით "სტუდენტის სტატუსისა და საგანმანათლებლო პროცესის დებულება". ეს რეგულაცია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე https://gruni.edu.ge/footer_content/index/325/1447832401. პროგრამაზე ჩარისცხვისათვის აპლიკანტებს მოეთხოვებათ დაიცვან მითითებული პროცედურები და წესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 1.1),
- საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია (დანართი 3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი. მუხლი 25:
- https://gruni.edu.ge/menu_content/index/384

რეკომენდაციები:
არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილია სხვადასხვა საგნით, ზოგიერთი კურსი საბაზისოა და წარმოადგენს სხვა კურსების წინაპირობებს. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და ტურიზმის სავალდებულო (ძირითადი) და არჩევითი (თავისუფალი) საგნებით. პროგრამაში ასევე ჩართულია ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაში.

სტაჟირება, რომელსაც პროგრამა სთავაზობს მე-8 სემესტრში, აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გამოიყენონ აუდიტორიაში მიღებული თეორიული ცოდნა ტურიზმის სექტორში არსებულ რეალურ სივრცეში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის თანამშრომლობა სხვა ეროვნულ ინსტიტუტებთან, როგორიცაა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაცია და კურორტების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო აქტივობების შესაბამისობას ინდუსტრიის საჭიროებებთან და სტანდარტებთან. ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებთან ეს კავშირი ზრდის საგანმანათლებლო გამოცდილების პრაქტიკულ შესაბამისობას სტუდენტებისთვის. თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციისა და პროგრამის სწავლის შედეგების დეტალური მტკიცებულებების საფუძველზე, ადგილზე ვიზიტის ინტერვიუების შედეგებთან ერთად, ჯგუფმა შეძლო დაედგინა, რომ პროგრამის პრაქტიკული, შემოქმედებითი და საშემსრულებლო კომპონენტები ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და ასევე შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს.

პრაქტიკული კომპონენტისა და/ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში, გეგმავენ ტურებს, მონაწილეობენ წამახალისებელ/პროექტებში. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაწესებულების მიერ სამეცნიერო და კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობისა და მოტივაციის დონის ამაღლება. ჯგუფმა ეს მიმართულება განიხილა სტუდენტების უფრო მაღალი დონის სწავლისკენ წახალისების ერთ-ერთ საშუალებად, რომელიც ამ ანგარიშში სხვაგან არის განსაზღვრული, როგორც პროგრამის განვითარების სფერო. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მიიჩნია, რომ დაწესებულებამ უნდა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით, რადგან ეს აჩენს ღირებულ გლობალურ პერსპექტივებს სტუდენტებისთვის და ზრდის დაწესებულების შესაძლებლობებს კულტურათაშორისი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა

- ბიზნესის განვითარების სტრატეგიის სკოლა (დანართი 1.3)
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების კრებულები (დანართი 7.12)
- ანგარიში სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილურობის შესახებ (დანართი 7.11)
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გააუმჯობესეთ სტუდენტთა ჩართულობა და მოტივაციის დონე სამეცნიერო და კვლევით პროექტებში.
- გაზარდეთ საერთაშორისო პარტნიორული აქტივობები, რაც გულისხმობს ცოდნის გაცვლის ინიციატივების წახალისებას და სტუდენტებისთვის დამატებითი შესაძლებლობების ქსელის შესაქმნას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშიდან, სილაბუსებიდან და ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე პანელმა დაადასტურა, რომ ტურიზმის კურსებზე გამყენებული სწავლება - სწავლის მეთოდების მიზანია აღჭურვოს სტუდენტები იმ ცოდნით, უნარებით, დამოკიდებულებებითა და გამოცდილებით, რომლებიც აუცილებელია ტურიზმის დინამიურ და კონკურენტუნარიან სფეროში წარმატების მისაღწევად. ეს მოიცავს ისეთ უნარებს, როგორიცაა: კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა, ლიდერობა, კულტურული კომპეტენცია, მარკეტინგი და გაყიდვები, ღონისძიებების დაგეგმვა და მომხმარებელთან ურთიერთობის მართვა. ამ უნარების განვითარებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტებია სტაჟირება, საველე პრაქტიკა, შემთხვევის კვლევა, სიმულაციები და პრაქტიკული პროექტები, რომლებსაც 8 სემესტრის განმავლობაში (4 წელი) სთავაზობენ ჩაშენებული კურსის სახით. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს მეთოდები საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ

თეორიული ცოდნა რეალურ ცხოვრებაში, მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება და განავითარონ ის პრაქტიკული უნარები, რომლებიც უშუალოდ შეესაბამება მათ მომავალ კარიერას ტურიზმის სფეროში. ჯგუფმა დაასკვნა, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება სტუდენტზე მორგებული ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება მათი ინტერესებისა და აკადემიური მზაობის გათვალისწინებით; ეს დადასტურდა სტუდენტებთან გასაუბრებისას. ამრიგად, პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის შინაარსს, სტუდენტის სწავლის შედეგებს და საბოლოოდ უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სპეციფიკაცია
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტების შეფასების შინაგანაწესი და პროცედურები, რომლებიც, როგორც ჯგუფმა დაადგინა, სამართლიანი, გამჭვირვალე და სანდოა, და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულების შინაგანაწესის მიხედვით, პროგრამის სასწავლო კომპონენტი ფასდება 100- ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება შეადგენს მაქსიმუმ 60 ქულას, ხოლო საბოლოო შეფასება შეადგენს მაქსიმუმ 40 ქულას. შეფასების თითოეულ მეთოდს აქვს განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასებისთვის – 21 ქულა, დასკვნითი შეფასებისთვის – 21 ქულა.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას –

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

(FX)- ვერ ჩააბარა - 41- 50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად; განმეორებითი გამოცდები უნდა დაინიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. თუ სტუდენტი კვლავ ვერ ჩააბარებს, მან თავიდან უნდა გაიაროს კურსი;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არასაკმარისია და მან კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

„პროფესიული პრაქტიკის“ კომპონენტი ასევე ფასდება 100- ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება მოიცავს 30- ქულიან პრეზენტაციას და პრაქტიკული სამუშაოს დემონსტრირებას, რომელიც ასევე 30 ქულით შეფასდება. დასკვნითი შეფასების 40 ქულა ენიჭება სტუდენტის მიერ პრაქტიკული ანგარიშის წარდგენას.
სტუდენტებმა წინასწარ იციან თითოეული სასწავლო კურსის შეფასების, მეთოდების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ, რადგან სილაბუსები საიტზე იტვირთება და ხელმისაწვდომია სწავლების მართვის ელექტრონული სისტემის - „Nexus“- ის მეშვეობით. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციას სტუდენტები კურსის პირველ ლექციაზე იღებენ. სილაბუსების შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თითოეული კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება საგნის სპეციფიკას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ დანერგა სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის მექანიზმები და იყენებს მათ სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც სწავლის შედეგის შეფასების პირდაპირი ფორმა.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს შეფასებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ განავითარონ ძლიერი მხარეები და ყურადღება გაამახვილონ გასაუმჯობესებელ სფეროებზე. სტუდენტების შეფასების შემდეგ, ლექტორები უზრუნველყოფენ ზოგად უკუკავშირს შემდეგ ლექციაზე.

სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების შედეგების გასაჩივრება და ჯგუფის წინაშე დაადასტურეს, რომ პროცესი მათთვის წინასწარ არის ცნობილი. „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულირების“ მიხედვით, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ობიექტურად არ იქნა შეფასებული დისციპლინის კონკრეტული კომპონენტის ან საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის ფარგლებში, ან თუ თვლის, რომ არსებობდა ობიექტური ფაქტორი, რამაც გამოიწვია უარყოფითი შეფასება, მათ შეუძლიათ დასაბუთებული განცხადება წარუდგინონ ფაკულტეტის დეკანს. სააპელაციო განაცხადი უნდა წარედგინოს შეფასების გამოქვეყნებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო განხილვა უნდა მოხდეს განაცხადის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 დღისა. აპელაციას განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, კომისიის თავმჯდომარის ჩათვლით. საკუთარი გადაწყვეტილებით ან/ და სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, დეკანს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი (საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში) კომისიის წევრად. ამის შემდეგ კომისია ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის გასაჩივრების დამტკიცება/ არ დამტკიცების შესახებ. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სტუდენტის შეფასების დაწევას გამოიწვევს. გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტები იცნობენ გასაჩივრების არსებულ მექანიზმს და მიიჩნევენ, რომ ის სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტურია.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური სტილის მოთხოვნები და შიდა რეგულაციები და მექანიზმები აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირებისთვის, რაც გამოიყენება სტუდენტების შეფასების პროცესში. ზოგადი დებულებები

პლაგიატთან დაკავშირებით შედის სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსში. უფრო დეტალური ინფორმაცია პლაგიატის შესახებ მოცემულია „სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის სტანდარტში“. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების შეფასება სასწავლო კურსებზე, მათ შორის პლაგიატის საკითხი, არ უკავშრდება სამეცნიერო კვლევას. ამიტომ, სასურველია სასწავლო კურსებში პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები შევიდეს შესაბამის დოკუმენტში, როგორიცაა „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულაცია“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულაცია“;
- "საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი";
- "სამეცნიერო კვლევითი მუშაობის სტანდარტი";
- ვებგვერდი - www.gruni.edu.ge
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სასწავლო კურსებში პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები შევიდეს შესაბამის დოკუმენტში, როგორიცაა „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგულაცია“.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამას აქვს ყველა აუცილებელი მექანიზმი იმისთვის, რომ დაგეგმოს სტუდენტების სასწავლო პროცესი, გააუმჯობესოს მათი აკადემიური მოსწრება, გაუწიოს შესაბამისი კონსულტაცია დასაქმების შესახებ და ხელი შეუწყოს მის კარიერულ განვითარებას. ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია, რომ მთლიანობაში, სტუდენტები და კურსდამთავრებულები (როგორც თბილისიდან, ისე ბათუმიდან) კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ გაწეული სტუდენტური მომსახურებითა და კონსულტაციებით.

პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ სტუდენტები სათანადო და ეფექტურ კონსულტაციას და მხარდაჭერას იღებენ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისგან. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ. გარდა ამისა, სემესტრში ორჯერ რექტორი ატარებს შეხვედრებს სტუდენტებთან. ასევე რეგულარულად იმართება შეხვედრები დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან სემესტრის დასაწყისში, შუალედური გამოცდების წინ და დასკვნითი გამოცდების წინ („დეკანის საათი“). ამ შეხვედრების მიზანია ინფორმაციის გაზიარება, სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება და აკადემიური გაუმჯობესებისა და სტუდენტური ცხოვრების ინიციატივების განხილვა. უსდ ხელს უწყობს სტუდენტების საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციასა და შიდა საუნივერსიტეტო სივრცის გაცნობაში.

დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს კლასგარეშე შესაძლებლობებს, როგორიცაა კონფერენციები, პროექტები და ტრენინგები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის კლასგარეშე აქტივობები მოიცავს საჯარო და საველე ლექციებს, ვებინარებს, ტურებს და შეხვედრებს დარგის სპეციალისტებთან და ა.შ. ინფორმაცია ამ აქტივობების შესახებ მიეწოდება სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს სხვადასხვა არხის საშუალებით, მათ შორის კორპორატიული ელექტრონული ფოსტით, უნივერსიტეტის ვებსაიტით, დაწესებულების ოფიციალური Facebook გვერდით. უნივერსიტეტი თავის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ასევე აწვდის ინფორმაციას ხელმისაწვდომი ვაკანსიებისა და სამუშაო შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულება აწყობს შეხვედრებს და ფორუმებს პარტნიორ ორგანიზაციებთან (პოტენციურ დამსაქმებლებთან). გარდა ამისა, როგორც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს გასაუბრების დროს, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასევე მონაწილეობდა მათ დასაქმებაში.

დაწესებულებამ მემორანდუმების სახით დაამყარა პარტნიორობა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (უსდ) და მონაწილეობს Erasmus+ გაცვლით პროგრამებში. შესწავლილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით, სტუდენტების საერთაშორისო მობილობა შედარებით შეზღუდულია. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ეს შეზღუდვა პანდემიას და შემდგომ გამოწვევებს მიაწერეს. მიუხედავად ამისა, მათ ახლახან დაამყარეს უფრო მეტი პარტნიორობა უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან და მუშაობენ ამ სფეროს გასაძლიერებლად. მიგნებებიდან გამომდინარე, სასურველია, უნივერსიტეტმა გააგრძელოს სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაზრდა, და განსაკუთრებული აქცენტი გააკეთოს გრძელვადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებზე. ჯგუფის აზრით ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პანდემია უკვე შემცირდა და სხვა ინსტიტუტებმა წარმატებით გააძლიერეს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა.

დაწესებულებაში დაინერგა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისგან უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის მექანიზმები. ეს გულისხმობს სხვადასხვა გამოკითხვების ჩატარებას, მათ შორის სასწავლო კურსების, ლექტორების, შეძენილი ცოდნის შეფასებას და სტუდენტთა კმაყოფილებას სწავლის გამოცდილებით და სტუდენტების მხარდაჭერის სერვისებით. გასაუბრების შედეგებმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტი ითვალისწინებს მათ უკუკავშირს. ასევე უზრუნველყოფილი იყო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების პროცესში, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- უცხოურ უსდ-ებთან გაფორმებული მემონდუმები;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები ;
- ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლის დეკანის N12- 04/010 ბრძანება „თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცების შესახებ“;
- ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლის დეკანის N12- 04/011 ბრძანება „თვითშეფასების ჯგუფის წევრთა ფუნქციების განაწილების შესახებ“;
- სტუდენტთა საერთაშორისო სერტიფიკატები;
- 2019-2023 წლებში ჩატარებული კონფერენციები;
- ინფორმაცია გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის შესახებ;
- ინფორმაცია კარიერის მხარდაჭერასთან დაკავშირებით;
- ვებგვერდი - gruni.edu.ge;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, გრუნიმ გააგრძელოს სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაზრდა, გრძელვადიან სასწავლო გაცვლით პროგრამებზე განსაკუთრებული აქცენტით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების

თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის

რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის უფროს მენეჯმენტთან გასაუბრებისა და მოწოდებული მტკიცებულებების შესწავლის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტი იყენებს პერსონალის დაქირავების ზუსტ და გამჭვირვალე პროცესს, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი და მორგებულია ტურიზმის სექტორის მოთხოვნებზე, და უპირატესობას ანიჭებს იმ კანდიდატებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო და პედაგოგიური გამოცდილება აქვთ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ აკადემიური პერსონალი აკმაყოფილებს და ამდიდრებს პროგრამის მიზნებს უნივერსიტეტის მისწრაფებებთან შესაბამისობაში. რექტორის მიერ დადგენილი საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის კონკურსის პირობებს, მათ შორის ვადებს, ხელმისაწვდომ პოზიციებს, საჭირო კვალიფიკაციას და შესარჩევი კომისიის შემადგენლობას. ეს ჩარჩო იმის გარანტიაა, რომ შერჩევის პროცესი სამართლიანად და გამჭვირვალედ წარიმართება. ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელთან გასაუბრებაში გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებას და ოპტიმალურად გამოყენებას. ეს პოლიტიკა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის მონიტორინგს და შეფასებას, რაც ხელს უწყობს ამოცანების სწორად დაკისრებას და პერსონალის ფუნქციების მაქსიმალურ განაწილებას.

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებებმა და მათი CV- ების შესწავლამ აჩვენა, რომ ტურიზმის პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში. საერთო ჯამში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, აკადემიურმა პერსონალმა 692 სტატია გამოაქვეყნა. ეს აისახება მათ საქმიანობაში: აღიარებულ ჟურნალებში გამოქვეყნეული სტატიები, კონფერენციების პრეზენტაციები და მონაწილეობა კვლევით გრანტებსა და პუბლიკაციებში. ეს მიმართულება მნიშვნელოვნად გაზრდილია წინა აკრედიტაციის შემდეგ და ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ მუდმივად უნდა ჩაატაროს კვლევის ხარისხის მონიტორინგი, ასევე გაზარდოს პერსონალის კვლევითი საქმიანობის მოცულობა, რაც უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას.

უნივერსიტეტის ძალისხმევით, პროგრამა ინარჩუნებს ბალანსს - 39 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 33 უნივერსიტეტთან აფილირებული, და 30 მოწვეული პერსონალი, რაც ხელსაყრელ თანაფარდობას ქმნის პერსონალსა და სტუდენტებს შორის, და ხელს უწყობს სწავლებას და კვლევას. ამ შემადგენლობაში შედიან პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები და ასისტენტები, რომლებიც ხელს უწყობენ დინამიურ საგანმანათლებლო გარემოს. სტრუქტურა მხარს უჭერს კურსის შინაარსის მიწოდებას და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას მუდმივი და დროებითი პერსონალის შერწყმის გზით, რაც სასწავლო და კვლევითი საქმიანობის მოქნილობას უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტმა დანერგა სისტემა, რომელიც მართავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვას. ეს სისტემა შემუშავდა პერსონალის გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ეს სისტემა იძლევა მოქნილი დატვირთვის საშუალებას, რომელიც მორგებულია უნივერსიტეტის საჭიროებებზე და პერსონალის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რითაც ხელს უწყობს აკადემიურ თავისუფლებას.

აკადემიური, განსაკუთრებით უნივერსიტეტთან აფილირებული, პერსონალი ხშირად ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ეს ჩართულობა ამდიდრებს საგანმანათლებლო პროგრამას კურიკულუმში რეალური გამოცდილების და თანამედროვე საკითხების ინტეგრირებით.

სწავლების პასუხისმგებლობის მართვა ისეა სტრუქტურირებული, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალი ძირითადად ფოკუსირებულია ლექციებზე, ხოლო ასისტენტები და მოწვეული სპეციალისტები ატარებენ სემინარებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებს. ეს განაწილება უზრუნველყოფს ყველა საგანმანათლებლო კომპონენტის ეფექტურად და ეფექტიანადად დაფარვას, მასალის მომზადებას და სტუდენტების შეფასებებას უნივერსიტეტის სტანდარტების შესაბამისად.

გასაუბრებისას გაირკვა, რომ აკადემიურმა პერსონალმა კარგად იცოდა, რომ მას ევალებოდა კონსულტაციები, რომლებიც ტარდება სტუდენტების მოთხოვნით დადგენილი ცხრილით. უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს ყველა პერსონალის მუშაობას დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, კოორდინაციას უწევს ამ შეფასებებს ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტების მეშვეობით. ეს შეფასება უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა წევრმა ეფექტური წვლილი შეიტანოს პროგრამის მიზნებში, მათ შორის სტუდენტთა კონსულტაციები და პროგრამის შემუშავება, რითაც შეინარჩუნებს განათლების მაღალ სტანდარტებს. ჯფუფმა დეტალურად შეისწავლა პროგრამის მონაცემები, სადაც დეტალურად იყო აღწერილი სტუდენტების დემოგრაფია. მასში გამოვლინდა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში სტაბილურად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა, მათ შორის 54- დან 88- მდე გასულ წელს. ამასთან, სტუდენტებისა და აფილირებული პერსონალის რაოდენობის კოეფიციენტი 0,14- ს შეადგენს, სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობა 0,28- ს, ხოლო აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა 1,3- ია. აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი დაახლოებით 94%- ია, ხოლო მოწვეული პერონალისა - 93%.

პროგრამას მართავს ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე. ხელმძღვანელს აქვს დიდი გამოცდილება სახელმწიფო ტურიზმის სექტორში, ბიზნესსა და განათლებაში. როგორც აფილირებული პროფესორი, იგი აქტიურადაა ჩართული პროგრამაში, რაც მოიცავს პროგრამის განხორციელების მონიტორინგს, განვითარებას და მუდმივ გაუმჯობესებას. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ხელმძღვანელის მოადგილესთან, რათა ერთად შეაფასონ და გააუმჯობესონ პროგრამა, რაც უზრუნველყოფს, რომ იგი აკმაყოფილებს მაღალ აკადემიურ ხარისხს და შესაბამისობაშია დარგის სტანდარტებთან.
პროგრამაში მონაწილე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა სულ შეადგენს 107 ადამიანს. ეს გუნდი შედგება სამსახურის ხელმძღვანელებისგან, ცენტრის ხელმძღვანელებისგან და სპეციალისტ კოორდინატორებისგან. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს სტუდენტების მხარდაჭერასა და პროგრამის გამართული ფუნქციონირებისთვის.

ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლა, პროგრამის მთავარი საგანმანათლებლო ერთეული, პასუხისმგებელია მის სრულყოფილად შესრულებაზე. დეკანის ხელმძღვანელობით, დეკანის მოადგილეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან ერთად და ადმინისტრაციის მენეჯერის მხარდაჭერით, სკოლა უზრუნველყოფს, რომ პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მაღალ სტანდარტებსა და რეგულაციებთან.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში დასაქმებულია სპეციალიზებული დამხმარე პერსონალი, მათ შორის პროექტის მენეჯერი და აკადემიური ექსპერტი, რომელიც მუშაობს პლაგიატის პრევენციაზე. ეს პოზიციები გადამწყვეტია იმისთვის, რომ დაეხმაროს სტუდენტებსა და პერსონალს პროექტების შემუშავებაში და აკადემიურ კეთილსინდისიერებაში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის საერთო ეფექტურობასა და წარმატებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**39**			**33**
- პროფესორი	11			8
- ასოცირებული პროფესორი	21			18
- ასისტენტ–პროფესორი	3			3
- ასისტენტი	4			4
მოწვეული პერსონალი	30			_
სამეცნიერო პერსონალი	0			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე, მოწვეული პერსონალით.
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების დოკუმენტი
- აკადემიური პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის დოკუმენტი
- ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები.

რეკომენდაციები

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულებამ მუდმივი მონიტორინგი უნდა განახორციელოს კვლევის შედეგების ხარისხზე, თანამშრომელთა კვლევითი საქმიანობის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს მაღალი სტანდარტების დაცვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.1. ადამიანური რესურსები	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე დათვალიერებისას გაირკვა, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა მუდმივად ფასდება პროფესიონალური განვითარების ამაღლებაზე ორიენტირებული პერსონალის შეფასების სისტემის მიხედვით. უნივერსიტეტი იყენებს შეფასების დადგენილ ინდიკატორებს, თვითშეფასების ინსტრუმენტებს და სტუდენტების გამოკითხვის ფორმებს, რათა გაზომოს თავისი პერსონალის შრომისუნარიანობა სწავლების, კვლევისა და საერთო კმაყოფილების სფეროში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ტარებს ამ შეფასებების მონიტორინგს და აანალიზებს შედეგებს გასაუმჯობესებელი სფეროებისა და ზრდის შესაძლებლობების დასადგენად.

ჯგუფმა დაადასტურა, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადგენს რეკომენდაციებს, რომლებიც მისი პერსონალის პროფესიონალური განვითარების საჭიროებებზეა მორგებული. ამ საჭიროებების მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მიზნობრივი პროფესიონალური განვითარების პროგრამები, რომლებიც მოიცავს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სილაბუსების შემუშავება, კრიტიკული აზროვნება და აქტიური სწავლება. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მხარს უჭერს თავის პერსონალს მონაწილეობა მიიღოს გარე სასწავლო კურსებსა და სემინარებში მათი უნარებისა და გამოცდილების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სასწავლო ღონისძიებები და კონფერენციები მოიცავს:

- *2022 წლის 19- 22 ოქტომბერი - ევროპის კულტურული ტურიზმის XV საერთაშორისო კონფერენცია;*
- *2022 წლის 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით - ტრენინგი აკადემიური და კვლევითი უნარების შესახებ;*
- *2023 წლის 9 თებერვალი - კვლევითი სემინარები ტეხასის A&M უნივერსიტეტთან;*
- *2023 წლის 2 და 7 მარტი - ვებინარები სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე;*
- *2023 წლის 10 მარტი - ევროკავშირის პროგრამის სემინარი მკვლევართა მობილობის შესახებ;*
- *2023 წლის 8 ივლისი - ვორქშოპი ტურიზმში ციფრული პროდუქტების შესახებ;*
- *2023 წლის 18- 21 ოქტომბერი - ევროპის კულტურული ტურიზმის XVI საერთაშორისო კონფერენცია;*
- *2023 წლის 10 ნოემბერი - ტრენინგი Turnitin-ის შესახებ.*

უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს სხვა დაწესებულებებთან, რითაც სთავაზობს პერსონალს შესაძლებლობების ზრდას. ყოველწლიურად, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან (მაკედონია) საერთაშორისო მულტიდისციპლინურ სამეცნიერო ფორუმში პერსონალის მონაწილეობის დასაფინანსებლად, რომელიც ფარავს ყველა ხარჯს, და ხელს უწყობს უფრო ფართო აკადემიურ ჩართულობას. უფრო მეტიც, უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალის კვლევის გამოქვეყნებას მონოგრაფიების, სალექციო კურსების, მკითხველებისა და სტატიების დამოუკიდებელი გამოცემის გზით. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სამეცნიერო კვლევების მართვისა და საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრები. ეს ცენტრები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინიციატივებისთვის.

უნივერსიტეტმა დააარსა სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდი, რათა ხელი შეუწყოს კვლევისა და ინოვაციების კულტურას. ამ ფონდს მართავს კოლეგიალური ორგანო, კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალისა და სტუდენტების მიერ შემოთავაზებული პროექტების განხილვაზე და დაფინანსებაზე, რაც აძლიერებს უნივერსიტეტის სწრაფვას კვლევისა და განვითარებისაკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის კმაყოფილების კვლევა.
- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის სტანდარტი
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- პერსონალის პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობა

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს ჯგუფმა დაადგინა, რომ ტურიზმის პროგრამას გააჩნია საჭირო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც აუცილებელია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო გამოცდილების ოპტიმიზაციისთვის. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნოლოგიურად მდიდარი გარემო, სადაც აკადემიური საქმიანობა წარმატებით წარიმართება. საკლასო ოთახები და სასწავლო სივრცეები აღჭურვილია თანამედროვე IT ტექნოლოგიებით და ელექტრონული სასწავლო რესურსებით.

Nexus სერვისის სისტემა არის ელექტრონული პორტალი, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო მენეჯმენტის სხვადასხვა ფუნქციას და ჯგუფის აზრით, ის ეფექტურად უჭერს მხარს სტუდენტების აკადემიურ პროცესს. ეს სერვისი გადამწყვეტია სტუდენტებისა და პერსონალისთვის, იგი სთავაზობს გამარტივებულ წვდომას კურსის მასალებზე, განცხადებებზე და სხვა აუცილებელ აკადემიურ ინფორმაციაზე, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საზოგადოების კარგად ინფორმირებულობას და კავშირს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს შეფასების ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახა ეს სისტემა მოქმედებაში.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან გასაუბრებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხდება მასალების მუდმივად განახლება ტურიზმისა და ბიზნესის ადმინისტრირების დარგში უახლესი პუბლიკაციებითა და სახელმძღვანელოებით. ბიბლიოთეკამ საგრძნობლად გააფართოვა კოლექცია ბოლო საანგარიშო პერიოდში, დაამატა 143 ელექტრონული წიგნი და 283 ფიზიკური წიგნი. ეს მოიცავდა 27 ახალ ელექტრონულ წიგნს, კონკრეტულად ტურიზმში და ბიზნესის ადმინისტრირების დამატებით რესურსებს. თუმცა, ბათუმის კამპუსში ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ვერ წარმოადგინეს სახელმძღვანელოების ბეჭდური ვარიანტები. თუმცა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომი იყო. ასევე, ბიბლიოთეკის მომსახურება მოიცავს სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომას.

უნივერსიტეტში შექმნილია მნიშვნელოვანი კომპიუტერული სივრცე 181 პერსონალური კომპიუტერითა და ლეპტოპით, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ეს მოიცავს 56 ერთეულს ბათუმში, რაც უზრუნველყოფს რესურსების თანაბრად განაწილებას და ხელმისაწვდომობას ყველა სტუდენტისთვის, განურჩევლად მდებარეობისა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ვებსაიტი, რომელიც მოქმედებს როგორც ცენტრალური საკომუნიკაციო და საინფორმაციო ცენტრი. ვებსაიტზე განთავსებულია აუცილებელი საკონტაქტო ინფორმაცია, დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტის სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, აკადემიური პერსონალისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგის შესახებ. რეგულარული განახლებები უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს წვდომა აქვს ყველაზე აქტუალურ და შესაბამის ინფორმაციაზე, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე და ინფორმირებულ აკადემიურ გარემოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის დათვალიერება
- მემორანდუმი მონაცემთა ბაზების შესახებ
- ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის დოკუმენტი

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსები	X	☐	☐	☐

4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად ეყრდნობა სწავლის საფასურს. ბიუჯეტის ყველაზე მეტი თანხა მიდის პერსონალის ხელფასებზე, რაც ხაზს უსვამს აკადემიური პერსონალის ხარისხის მნიშვნელობას. მცირე თანხები გამოიყოფა საერთაშორისო მობილობის, ბიბლიოთეკის რესურსებისა და ინფრასტრუქტურის განახლებისთვის, რაც ასახავს მიზანმიმართულ ინვესტიციებს აკადემიურ ხარისხსა და გლობალურ ექსპოზიციაში. ბიუჯეტის კიდევ უფრო მცირე ნაწილი ეთმობა პრაქტიკულ ტრენინგებსა და პროფესიონალურ განვითარებას; ეს გულისხმობს, რომ დაფინანსება შეიძლება გაიზარდოს პრაქტიკული სწავლისა და პერსონალის უნარების გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანი რეზერვები ინახება ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, რაც მიუთითებს ფინანსების გონივრულ დაგეგმვაზე. ბიუჯეტი მხარს უჭერს აუცილებელ აკადემიურ და საოპერაციო

საჭიროებებს და ხაზს უსვამს პოტენციური გაუმჯობესების სფეროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი.
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ეყრდნობა PDCA ციკლს, რაც გულისხმობს პროცესის წარმართვას შემდეგი პრინციპით - „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე".

პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები ძირითადად რეგულირდება დაწესებულებაში მოქმედი რამდენიმე დოკუმენტით, როგორიცაა „საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი" და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები". ხარისხის უზრუნველყოფა ასევე ეყრდნობა ქვეყნის ზოგად რეგულაციებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრული ხარისხის მართვის დებულების ფარგლებში მოცემულია საქმიანობის აღწერილობები და მათი შესრულების განსაზღვრული ვადები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც გრძელდება ერთი კალენდარული წელი და მოიცავს ძირითად ამოცანებს, რომლებიც შეესაბამება ძირითად მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართულები უნივერსიტეტის სხვადასხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. წლიური სამოქმედო გეგმა სრულყოფილად მოიცავს იმ ზომებს, რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის და მასთან დაკავშირებული რესურსების შეფასებისა და გაუმჯობესებისთვის.

გასაუბრებების დროს გამოიკვეთა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა პროგრამის პერსონალსა და ხარისხის მართვის სამსახურს შორის. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის მართვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და შეფასების მოთხოვნების შესრულებას.

გასაუბრებებიდან და ჯგუფისთვის მიწოდებული მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალი ყოველი წლის დასაწყისში ადგენს სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების ინდივიდუალურ გეგმას, ხოლო ყოველი სემესტრის დასაწყისში სასწავლო-მეთოდური მუშაობის ინდივიდუალურ გეგმას. სასწავლო წლის ბოლოს პერსონალი ამ გეგმების განხორციელების შესახებ ანგარიშს წარუდგენს აკადემიურ სკოლებს, რომლებიც ამ შედეგებს გააანალიზებენ და აცნობებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სასურველია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულმა ერთეულმა მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. კონკრეტულად, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობა უზრუნველყოფს თანამშრომლობას თანამშრომლებსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეულს შორის სასწავლო პროცესის განმავლობაში. აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების ჩატარება, ასევე პერსონალის პროფესიული განვითარების ინიციატივების ჩატარებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ჩვენი აკადემიური პროდუქტიულობა. ეს პროცესი ასევე ხელს შეუწყობს პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის მუდმივ ამაღლებას, ინოვაციების კულტურის განვითარებას, რაც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის წინსვლას და მისი საერთო ხარისხის ამაღლებას. შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება არ უნდა შემოიფარგლოს ყოველწლიურად განახლებული სამეცნიერო საქმიანობის განხორციელების ინდივიდუალური გეგმის წარდგენით.

პროგრამა გადის მუდმივ მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას სხვადასხვა დაინტერესებული მხრის გამოკითხვების საშუალებით, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები. ჯგუფმა იპოვა იმის მტკიცებულება, რომ ამ მხარეების უკუკავშირი ჩართულია PDCA მიდგომაში და, შესაბამისად, გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ხარისხის მართვის რეგულაცია;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- კმაყოფილების გამოკითხვა
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანგარიში
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ხარისხის შეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასარგებლო იქნება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულმა ერთეულმა მონაწილეობა მიიღოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. კერძოდ, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობა უზრუნველყოფს თანამშრომლებსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილებას შორის თანამშრომლობის ხარისხს სასწავლო პროცესის განმავლობაში

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია გარე შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის შემუშავების ფაზაში, წინა აკრედიტაციის ყველა რეკომენდაცია გულდასმით იყო განხილული და გათვალისწინებული.

გარე შეფასება ჩაატარა შესაბამისი გამოცდილების მქონე გარე შემფასებელმა, რომელიც დამოუკიდებელი იყო შესაფასებელი პროგრამისგან. მათ გამოიყენეს სპეციალურად შემუშავებული ფორმა, რომელიც მოიცავს პროგრამის სხვადასხვა ასპექტს, როგორიცაა მიზნები, შინაარსი, მეთოდები და სასწავლო რესურსები. თითოეული კომპონენტი შეფასდა განსაზღვრული ქულების სისტემის საფუძველზე. შემფასებლების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და რეკომენდაციები საფუძვლიანად განიხილა პროგრამის შემმუშავებელმა ჯგუფმა.

ჯგუფმა დააფიქსირა, რომ გარე შემფასებლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები არ არის სიღრმისეული, რაც იწვევს გარკვეულ ეჭვს იმის თაობაზე, რამდენად სრულყოფილად ჩატარდა გარე შეფასების პროცესი. სასურველია, რომ პასუხები უფრო დეტალური და კონკრეტული იყოს, რათა

პროგრამის შეფასება უფრო მკაფიოდ გასაგები იყოს.

იდეალურ შემთხვევაში, გარე შეფასებებმა მკაფიოდ უნდა გამოავლინოს გასაუმჯობესებელი სფეროები და დეტალურად აღწეროს ნებისმიერი გამოტოვებული კომპონენტი. ეს დაეხმარება უნივერსიტეტს და სხვა გარე ხარისხის სამსახურებს გამოავლინონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ხარვეზი, რაც ეფექტურად გაზრდის პროგრამის საერთო ხარისხს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი პროგრამა
- წინა აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები
- გარე შეფასების დოკუმენტი
- ჩატარებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, რომ გარე შეფასების ანგარიშის პასუხები იყოს უფრო დეტალური და კონკრეტული, პროგრამის შეფასების უფრო მკაფიო გაგების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის პროგრამა გადის დეტალურ მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. ეს პროცესი მოიცავს შესაბამისი ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იცავს „ხარისხის მართვის რეგულაციებით“ გათვალისწინებულ მითითებებს და ახორციელებს კალენდარული წლისათვის შემუშავებულ წლიურ სამოქმედო გეგმას. ეს გეგმა მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, როგორიცაა სამიზნე მახასიათებლების დადგენა და კვლევის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდების შერჩევა. ეს მეთოდები შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს: სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვები,

სტუდენტების მიერ კურსების და პედაგოგების შეფასება, ადმინისტრაციული წარმომადგენლების და/ ან თანატოლების მონაწილეობა სასწავლო შეფასებაში, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, სტუდენტების ინტერვიუები და სიღრმისეული თვისობრივი შეფასება. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ეყრდნობა უნივერსიტეტის მიერ წინასწარ შემუშავებულ და სტანდარტიზებულ კითხვარებს.

აღსანიშნავია, რომ დასახული გეგმის შესაბამისად შესრულებული მონიტორინგის ანგარიში განიხილება ერთობლივ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობენ როგორც პროგრამის კომიტეტი, ასევე დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლობითი კომიტეტი. წარმოდგენილი ანგარიში ექვემდებარება საფუძვლიან ანალიზს, რის შედეგადაც იქმნება შესაბამისი რეკომენდაციები.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასების ზედმიწევნითი დაგეგმვით. მომდევნო, მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების და მონიტორინგის აქტივობების შესრულებას, რაც გულისხმობს შესაბამისი რეკომენდაციების გარჩევას, ანალიზს და განსაზღვრას.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ გეგმის დახმარებით ხორციელდება შეფასებების მთელი რიგი, რაც მოიცავს აკადემიური პერსონალის პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვას, ასევე დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებს. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასება, ლექტორების მიერ კურსების თვითშეფასება და შედეგების შემდგომი ანალიზი სრულდება პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასებით. უფრო მეტიც, ტარდება შედარებითი კვლევა, რომელიც ადარებს პროგრამას ანალოგიურ პროგრამებთან, როგორც უცხოეთში, ისე ადგილობრივად.

გარდა ამისა, და როგორც ზემოთ აღინიშნა, უნივერსიტეტი ახორციელებს ყოვლისმომცველ კვლევას, რომელიც მიმართულია დამსაქმებლებზე და მიზნად ისახავს პროგრამის შინაარსში არსებული ხარვეზების გამოსწორებას და მისი ეფექტურობის გაზრდას. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პერსონალის განვითარებას, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ პროცესების ეფექტურობას ადასტურებს დეტალური ანგარიში და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

სტუდენტებს რეგულარულად ევალებათ გამოკითხვის ფორმების შევსება. ამ გამოკითხვების დახმარებით ხდება კურსის შინაარსთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, და უკუკავშირი რესურსების ხელმისაწვდომობისა და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების შესახებ. მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხდება ინფორმაციის ზედმიწევნით დახარისხება, რის საფუძველზეც გაიცემა რეკომენდაციები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

უფრო მეტიც, პროგრამის განვითარების ხელშეწყობისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის გასაადვილებლად, განსახილველი პროგრამა გადის დეტალურ შედარებას როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ანალოგებთან. ეს შედარებითი ანალიზი აფასებს პროგრამის თითოეული კომპონენტის შესაბამისობას, რომელიც მოიცავს მიზნებს, სწავლის შედეგებს, სასწავლო მეთოდოლოგიას, შეფასების ტექნიკას, სტრუქტურას, საგანმანათლებლო და კვლევით ელემენტებს. ამ შედარებითი შეფასების შედეგები წარმოდგენილია ინდივიდუალურად თითოეული კომპონენტისთვის, რაც მთავრდება ყოვლისმომცველი დასკვნით, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრამის საერთო თავსებადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის სკოლის ანგარიში
- "საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი"
- "ხარისხის მართვის რეგულაციები"
- დამსაქმებელთა გამოკითვის ანალიზი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	**X**
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ტურიზმი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტი**	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**X**	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების	**X**	☐	☐	☐

ადეკვატურობის შეფასება				
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	☐	☐	☐
5. ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

მეთიუ ქიჩინგი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ნინო პატარაია

ეკა ლეკაშვილი,

ეკა დევიძე
თორნიკე ხოშტარია

მარიამ გორგოძე